

საქართველოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს

საზედამხედველო კომიტეტის

ვიზიტი

LGBT რესურს ცენტრში

2016 წლის 12 ოქტომბერი

**მონაწილეები:**

**თამარ ბორცვაძე** – საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე, ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს წევრი, მსოფლიო ექიმები, უფროსი ოფიცერი ადვოკატირების საკითხებში

**თამარ ქაშიბაძე** – საზედამხედველო კომიტეტის წევრი, სასჯელაღსრულების სამინისტროს, სამედიცინო დეპარტამენტი, რეგულირების განყოფილება, უფროსი სპეციალისტი

**გიორგი სოსელია** – დაავადებათა კონტროლის ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტის განმახორციელებელი ერთეული

**პაატა საბელაშვილი** - ქსს-ს წევრი, MSM თემის წარმომადგენელი

**ტატო ედილაშვილი** - LGBT საქართველო, ფინანსური მენეჯერი/ბუღალტერი

**მარიამ კვარაცელია** – LGBT საქართველო, პროექტების ყოფილი მენეჯერი

**დავით კახაბერი**– LGBT საქართველო, პროექტის მენეჯერი, ქსს-ს ალტერნატიული წევრი

**ნიკოლო ღვინიაშვილი** – LGBT საქართველო, რესურს ცენტრის მენეჯერი

**ლევან ბერიაშიძე**– LGBT საქართველო, აღმასრულებელი დირექტორი

**ნათია ხარატაშვილი** – იდენტობა

**გეგა გაბრიჩიძე** – LGBT საქართველო

**პროგრამის ორი ბენეფიციარი**

**ირინა გრძელიძე** – ქსს-ს აღმასრულებელი მდივანი

**ნათია ხონელიძე** – ქსს-ს ადმინისტრაციული ასისტენტი

**ვიზიტის მიზანი:**

გლობალური ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე შიდა პროექტის მიმდინარეობის და ლგბტ თემის მიერ MSM პოპულაციაში განხორციელებული აქტივობების განხილვა.

მიუხედავად იმისა, რომ საგრძნობლად გაიზარდა MSM -ის მოცვა აივ პრევენციული სერვისებით ანგარიშგების ბოლო პერიოდებში, სამიზნე, მე-2 პარიოდის დემზორდის (2016

წლის 1პრილი - ივნისი), მიხედვით ჯერ არ არის მიღწეული. შედეგი -2,376 , სამიზნე - 2,975. შეხვედრის მსვლელობისას განხილულ იქნა თემის დონეზე ორგანიზაციის მიერ მიწოდებული სერვისები და გამოწვევები, რომელიც ბარიერს უქმნის MSM -ების მოცვას აივ-ის პრევენციის განსაზღვრული პაკეტით. ძირითადი მიმღები და ქვე-კონტრაქტორი ინტენსიურად მუშაობენ უკეთესი სტრატეგიების და მეთოდოლოგიების შემუშავებაზე აღნიშნულ პოპულაციაში ეპიდემიური კონტროლის ინტერვენციების გაძლიერებისათვის.

### **ვიზიტის ამოცანები:**

1. ლგბტ საქართველოს თემის მიერ წარმართული აქტივობების მიმდინარეობის შეფასება
2. გრანტის განხორციელების პროცესის გამოწვევების იდენტიფიცირება.

### **მეთოდოლოგია:**

- გასაუბრება ლგბტ საქართველოს და იდენტობის თანამშრომლებთან პრობლემების, პროექტის განხორციელების გაუმჯობესების გზების მოძიების, დასახული გეგმების შესახებ
- გასაუბრება პროგრამის ბენეფიციარებთან

### **განხილული საკითხები:**

შეხვედრას დესწრნენ LGBT რესურს ცენტრის და იდენტობის 14 წარმომადგენელზე მეტი და ბენეფიციარები. პროექტის მენეჯერმა, ქ-ნმა მარიამ კვარაცხელიამ მოკლედ წარადგინა ორგანიზაცია, აქტივობები, აივ პრევენციის და ჯანდაცვის სერვისებით MSM პოპულაციის მოცვისკენ მიმართული პროექტები.

LGBT საქართველოს წარმომადგენლების მიერ წამოწეულ და ხაზგასმულ იქნა შემდეგი საკითხები:

- პროგრამულ დონეზე, ფიქსირდება ძირითად მიმღებთან შუფერხებელი კომუნიკაცია. თუმცა, LGBT რესურს ცენტრის მიერ წამოწეულ იქნა ძირითადი მიმღების სერვისის განხორციელებისათვის სერვისების შესყიდვის დაფინანსების მექანიზმები. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ მოთხოვნილია გარკვეული თანხა ტენდერში მონაწილეობისათვის. გამომდინარე იქიდან, რომ LGBT საქართველოს გააჩნია შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობები, ეს ბარიერს უქმნის ორგანიზაციას დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეობისათვის. ამ პრობლემის გადალახვის მიზნით, ორგანიზაცია ცდილობს გამოიყენოს თანხების მოზიდვის ისეთი ინოვაციური მეთოდი, როგორცაა „crowd-funding“. თუმცა ამ მეთოდით მოძიებული თანხა არ აღმოჩნდა საკმარისი საბანკო გარანტიის წარდგენისათვის.

-ქვეყანაში არსებული მეტად სტიგმატიზირებული და დისკრიმინაციული გარემო აღმოჩნდა ხელისშემშლელი ფაქტორი პროექტის აქტივობების განსახორციელებლად ოფისის ფართის ქირავნობისათვის. ამჟამად პროექტის თანამშრომლები განთავსებულნი არიან სხვა ორგანიზაციის სივრცეში, რაც არ წარმოადგენს პროექტის ადეკვატური განხორციელების ხელსაყრელ პირობას. თუმცა LGBT რესურს ცენტრი იტოვებს იმედს, რომ პრობლემა მოგვარდება მომდევნო თვეებში რამდენიმე სათემო ორგანიზაციის მიერ ერთობლივად დიდი ფართობის ქირავნობის გზით.

- აივ პრევენციული სერვისებით MSM პოპულაციის მოცვის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა კვლავ პრობლემატური რჩება რეგიონებში, განსაკუთრებით ქვეყანაში მაღალი სტიგმატიზირებული გარემოს გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციას გააჩნია ოფისები თბილისსა და ქუთაისში ეს არ არის საკმარისი მაღალი რისკის პოპულაციის მოცვისათვის და მათი საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის. დაგეგმილია ორი ახალი რესურს ცენტრის გახსნა, სავარაუდოდ გორში და ზუგდიდში.

-ხაზგასმულ იქნა კვალიფიციური შტატის მოზიდვის საკითხი. რადგანაც ორგანიზაცია ახორციელებდა პილოტურ პროექტს, როგორც „თანადგომას“ ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია, თანამშრომლების უმრავლესობა მუშაობდა არასრულ განაკვეთზე. ამგვარი მოწყობა არ არის ზოგადად შესაფერისი კვალიფიციური შტატის მოზიდვისათვის და შესაბამისად ორგანიზაციის სრული დატვირთვით ფუნქციონირებისათვის და ბენეფიციარებისათვის ხელმისაწვდომობისათვის.

- შეხვედრისას აღინიშნა ბენეფიციარების საჭიროების უკეთ იდენტიფიცირების და მოცვის გაზრდის მნიშვნელობა მათი საჭიროებებზე უკეთ რეაგირების მიზნით. დაგეგმილია აივ პრევენციის სერვისის ახალი მოდელის (პრეექსპოზიციური პროფილაქტიკა, (PrEP) დანერგვა. ორგანიზაცია გეგმავს პროგრამის შეუფერხებლად წამოწყებას 2017 წლიდან. გარდა ამისა, 2016 წლის ნოემბრიდან დაიწყო აივ-ის ახალი ტესტები, სადაც აივ დეტექციისათვის პირის ღრუს ლორწო გამოიყენება. ძირითადი მიმღების მიერ მოხდა ჯამურად 4,000 ასეთი ტესტის შესყიდვა და უახლოეს მომავალში ისინი გადაეცემა რესურს ცენტრს. ეს მეთოდი უფრო მოსახერხებელია ვიდრე აივ-ის სწრაფი ტესტები.

- ორგანიზაცია ცდილობს დანერგოს სამიზნე ჯგუფებს შორის აივ-ის, სგი-ის და ა.შ შესახებ პრევენციული ხასიათის გზავნილების გავრცელების კრეატიული მეთოდები. კერძოდ ისინი იყენებენ ვიზუალურ საშუალებებს.

ვიზიტის დროს, საზედამხედველო კომიტეტის წევრები ასევე შეხვდნენ LGBT რესურს ცენტრის ორ ბენეფიციარს. მათ გამოთქვეს კმაყოფილება მიღებული სერვისების და შტატის კვალიფიკაციის და პროფესიონალიზმის გამო. მათ მიეცათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ ტრენინგებში, მიეწოდათ საინფორმაციო მასალა, უფასო კონდომები და ფსიქოლოგიური კონსულტირება. ერთ-ერთმა ბენეფიციარმა გამოთქვა სურვილი დასწრებოდა დამატებით ტრენინგებს შესაძლებლობების ზრდის შესახებ და გაეგრძელებინა

შესაბამისი ინფორმაცია თანასწორთა შორის. ასევე აღინიშნა, რომ სასურველია პრევენციული პაკეტი შეიცავდეს ფსიქოლოგიურ დახმარებას და საკონსულტაციო სერვისებს.

თამარ ბორცვაძე

საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე